სსიპ ქალაქ ბათუმის **N2 საჯარო სკოლის თეატრალური წლის „სახიობა“**

წესდება

მუხლი 1. წრის სტატუსი

- სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის თეატრალურ წრეში გაერთიანებულია თეატრის მოყვარული და თეატრით დაინტერესებული მოსწავლეები. ისინი მონაწილეობას იღებენ წრის წესდების ფორმირებაში.
- წრე დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
- წრე სარგებლობს სკოლის მატერიალური ბაზით და მის კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექცია

მუხლი 2. წრის წევრობა

- წრის წევრობა ნებაყოფლობითია; სამოტივაციო განცხადების საფუძველზე მშობლის თანხმობით.
- წრის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის ნებისმიერი მოსწავლე ასაკის მიუხედავად, რომელიც იზიარებს წრის მიზნებს.
- წრის გაწევრიანებაზე გადაწყეტილება მიიღება წრის ლიდერის მიერ, წრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 3. კლუბის წევრების უფლებები და მოვალეობები

- წრის წევრს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია წრისა და მისი საქმიანობის თაობაზე.
- წრის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა წრის საქმიანობაში, დაიცვას წესდების მოთხოვნები,შეასრულოს დავალებები და წრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მუხლი4. წრის სტრუქტურა, მართვა და გადაწყვეტილებების მიღება:

- წრე შედგება V-XI კლასის მოსწავლეებისაგან,
- წრეს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე
-

მუხლი 5. ლიდერი მოსწავლეების ფუნქციები

- წრეს შეიძლება ჰყავდეს ლიდერი,რომლის უფლებამოსილებაა უხელმძღვანელოს წრის საქმიანობას,
- პირებთან ურთიერთობას,
- უხელმძღვანელოს წრის მიერ განხორციელებულ აქტივობებს.
- მოსწავლის წრეში გაწევრიანება წრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 6. წრის ხელმძღვანელი მასწავლებლის ფუნქციები :

- წლის განმავლობაში უზრუველყოფს წრის წარმატებულ საქმიანობას;

- წრის გაწევრიანების მსურველთათვის წინასწარ ათავსებს სოციალურ ქსელში წრის ფუნქციონირების შესახებ. ეტაპობრივად აქვეყნებს წრის აქტივობების ამსახველ ფოტო-ვიდეო მასალასა და ინფორმაციას.

მუხლი 7 თეატრალური წრის მიზნები: და ამოცანები

1. **მიზნები:**
    - გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბება;
    - მოსწავლეებში თეატრისადმი ინტერესის გაზრდა;
    - პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება;
    - კომუნიკაციის უნარების გამომუშავება;
    - კრიტიკული აზროვნების განვითარება;
    - თვითშეფასების ამაღლება და თავდაჯერებულობა;
2. **ამოცანები:**

- თეატრის პოპულარიზაცია;
- სპექტაკლების დადგმა
- მოწვევა მსახიობისა და მასტერკლასების ჩატარება
- სტუმრობა თეატრში და ნანახი სპექტაკლის ირგვლივ დისკუსია;
- წრის მიერ დადგმული სპექტაკლების წარდგენა სხვადასხვა სკოლებში;

მუხლი 8. დასკვნითი დებულება:

- წრე იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, ასევე საჭიროებისამებრ.
- წრე მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ